ვებგვერდზე https://tbcbank.ge/ka/agreements განთავსებული „ფიზიკური პირის საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების“ (შემდგომში „ხელშეკრულება“) 8.5 პუნქტის შესაბამისად, სს „თიბისი ბანკი“ გთავაზობთ ხელშეკრულებაში შემდეგი ცვლილებების / დამატებების შეტანას:

1. **<u>შეიცვალოს ხელშეკრულების მე-7[1] მუხლის 13.8 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:</u>**
   „13.8 კლიენტი აცხადებს თანხმობას, რომ ბანკსა და კლიენტს შორის არსებული ნებისმიერი კომუნიკაცია და მასთან განხორციელებული ნებისმიერი სატელეფონო საუბარი (მათ შორის, კლიენტის ნებისმიერი მოთხოვნა/განცხადება საბანკო ინფორმაციის მიღების, ნებისმიერი საბანკო პროდუქტით/სერვისით სარგებლობისთვის რეგისტრაციის, რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების შეტანის თაობაზე, საბანკო (მათ შორის საკრედიტო) პროდუქტის მიღების ან/და ოპერაციის განხორციელების შესახებ და სხვ.) დაფიქსირდეს (ჩაიწეროს) ბანკის მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში და დავის შემთხვევაში, ასეთ ჩანაწერს ჰქონდეს მტკიცებულებითი ძალა (გამოყენებული იქნეს მტკიცებულებად). სატელეფონო საუბრის ჩანაწერები მიიჩნევა ბანკის საკუთრებად მისი შექმნის მომენტიდან, ინახება ბანკის მიერ განსაზღვრული წესით და ვადით და ბანკი, კლიენტის მოთხოვნის შემთხვევაში გააცნობს ან შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, გადასცემს კლიენტს ჩანაწერებს, წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა.“

2. **<u>შეიცვალოს ხელშეკრულების მე-16 მუხლის 16.16 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:</u>**
   „16.16 კრედიტის რეფინანსირებად ჩაითვლება ნებისმიერი ფინანსური ინსტიტუტის მიერ პირდაპირ ან/და ირიბად, უშუალოდ ან/და სხვა პირ(ებ)ის მეშვეობით გაცემული თანხით სს “თიბისი ბანკისგან” მიღებული კრედიტის წინსწრებით (შეთანხმებულ ვადაზე ადრე) დაფარვა პირდაპირ ან/და ირიბად, უშუალოდ ან/და სხვა პირ(ებ)ის მეშვეობით.“

3. **<u>ხელშეკრულების მე-7[1] მუხლის 8.1.15 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის 8.1.15.1 ქვეპუნქტი:</u>**
   „8.1.15.1 ნებისმიერი საკრედიტო პროდუქტით გათვალისწინებული გადასახდელი თანხის ვადაგადაცილების შემთხვევაში, კლიენტის ადგილსამყოფელის/საკონტაქტო ინფორმაციის დადგენის მიზნით, ბანკი უფლებამოსილია ნებისმიერ მესამე პირს გაუზიაროს ბანკში დაცული კლიენტის ფოტოსურათი/გამოსახულება.“